## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-737

06/08/2019

ქ. თბილისი

**შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ სახიფათო ნარჩენების განთავსების (დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ სახიფათო ნარჩენების განთავსების (დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N 76 (31.07.2019);
2. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ ვალდებულიაა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N76 (**31.07.2019**) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი